MEGALITHIC CULTURE OF HISTORIC BASIANI
ისტორიული „ბასიანის“ მეგალითური კულტურა[1]

KAKHA SHENGELIA
Doctor of History Science, President of the Caucasus University
Tbilisi, #1, Paata Saakadze Str., 0102, Georgia
+995 595 14 99 99,
president@cu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-7963-8098

TEIMURAZ KHUTSISHVILI
Doctor of Mathematical Science, Caucasus University Lecturer
Tbilisi, #1, Paata Saakadze Str., 0102 Tbilisi, Georgia
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

NODAR ARONISHIDZE
The George Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation - science worker,
Tbilisi, Atoneli str., #9, 0105, Georgia,
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

Abstract. First of all, it should be noted that the present letter includes the research of one part of the material culture monuments of the historical Basiani region, currently in Eastern Turkey (Fasinler, Kofrukoy) - samples of megalithic, cyclopean construction. We note here that the aim of the work is the primary, scientific presentation of the material identified by the expedition team. Part of the material found by us as a result of field-expedition works is published for the first time - thus, an attempt of scientific study is attached to it in the form of historical-cultural analysis of the region, scientific annotation of cultural monuments and their classification-dating. The issues raised within the research, conclusions, attempts to date and classify the monuments are obviously primary in nature and require future study.

In the Basiani region (Turkey), within the scope of the expeditions, we traced more than two dozen monuments of megalithic culture, although the present letter will present an attempt at scientific analysis of only about ten of them. A large part of the mentioned monuments have been destroyed almost to the ground, which complicates the possibility of a more or less complete scientific reasoning

[1] კვლევა განხორციელდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **“ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის“,** გამარჯვებული პროექტის, **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი“ [NFR – 19 – 12539]** – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ.

about them. Monuments with plans that have survived in a relatively complete form were selected for the study - it was by taking into account planning features, construction techniques and materials that the typological differences of the given cyclopean construction were highlighted. Different types of planning, construction techniques and materials allow us to more or less determine the time range of the construction of monuments. It is important that a complete study of the mentioned monuments is impossible without archaeological excavations. Nevertheless, the art-scientific analysis of the presented group of monuments gave us important results, which became even clearer in the light of historical research. By analyzing the historical sources and studying the morphology of the monuments, it was possible to determine the general time range of the construction of this large group of almost destroyed buildings.

Keywords: Art History; Archaeology; History; Architecture; Megalith; Bassiani.

კახა შენგელია
ისტორიის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი
თბილისი, პაატა სააკაძის ქ., #1, 0102, საქართველო
+995 595 14 99 99
president@cu.edu.ge
https://orcid.org/0000-0001-7963-8098

თეიმურაზ ხუციშვილი
მათემატიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი
თბილისი, პაატა სააკაძის ქ., #1, 0102, საქართველო
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

ნოდარ არონიშიძე
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა
დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, ათონელი ქ., #9, 0105, საქართველო
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

აბსტრაქტი. უპირველესად აღსანიშნავია, რომ წინამდებარე წერილი მოიცავს ისტორიული ბასიანის რეგიონის, ამჟამად აღმოსავლეთ თურქეთის (ფასინლერი, ქოფრუქოი), მატერიალური კულტურის ძეგლთა ერთი ნაწილის - მეგალითური, ციკლოპური მშენებლობის ნიმუშთა კვლევას. აქვე შევნიშნავთ, რომ ნაშრომის მიზანია საექსპედიციო ჯგუფის მიერ გამოვლენილი მასალის პირველადი, სამეცნიერო პრეზენტირება. ჩვენ მიერ, საველე-საექსპედიციო სამუშაოების შედეგად მოძიებული მასალის ნაწილი პირველად ქვეყნდება - ამდენად, მას ერთვის სამეცნიერო შესწავლის მცდელობა რეგიონის ისტორიულ-კულტურული ანალიზის, ნაგებობათა სამეცნიერო ანოტირებისა და მათი კლასიფიკაცია-

დათარიღების სახით. კვლევის ფარგლებში წამოჭრილი საკითხები, დასკვნები, ძეგლთა დათარიღებისა თუ კლასიფიკაციის მცდელობები ცხადია, პირველადი ხასიათისაა და სამომავლო შესწავლას საჭიროებს.

ბასიანი რეგიონში ექსპედიციების ფარგლებში მიკვლეულ იქნა ორ ათეულზე მეტი მეგალითური კულტურის ძეგლი, თუმცა წინამდებარე წერილში მხოლოდ ათამდე მათგანის შესახებ იქნება წარმოდგენილი სამეცნიერო ანალიზის მცდელობა. აღნიშნული ძეგლების უდუდესი ნაწილი თითქმის მიწის პირამდეა დანგრეული, რაც ართულებს მათ შესახებ მეტ-ნაკლებად სრული სამეცნიერო მსჯელობის შესაძლებლობას. კვლევისთვის შერჩეულ იქნა შედარებით სრული სახით შემორჩენილი გეგმარების მქონე ძეგლები - სწორედ გეგმარებითი თავისებურებების, სამშენებლო ტექნიკისა და მასალის გათვალისწინებით გამოიკვეთა მოცემული ციკლოპური აღმშენებლობის ტიპოლოგიური სახესხვაობები. სხვადასხვაგვარი დაგეგმარება, სამშენებლო ტექნიკა თუ მასალა საშუალებას გვაძლევს მეტნაკლებად მაინც დავადგინოთ ძეგლთა აგების დროითი დიაპაზონი. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ძეგლების სრულყოფილი შესწავლა შეუძლებელია არქეოლოგიური გათხრების გარეშე. მიუხედავად ამისა, ძეგლთა წარმოდგენილი ჯგუფის სახელოვნებათმცოდნეო ანალიზმა მნიშვნელოვანი შედეგები მოგვცა, რომელიც საისტორიო კვლევების ფონზე კიდევ უფრო მკაფიო და ნათელი გახდა. ისტორიული წყაროების ანალიზისა და ძეგლთა თავისთავადი მორფოლოგიის კვლევით შესაძლებელი გახდა, თითქმის განადგურებულ, ნაგებობათა ამ დიდი ჯგუფის აგების ზოგადი დროითი დიაპაზონის დადგენა.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნების ისტორია; არქეოლოგია; ისტორია; არქიტექტურა; მეგალითი; ბასიანი.

შესავალი. ბასიანის მეგალითური კულტურის ძეგლთა აღწერა-კლაფიკაციისა და სამეცნიერო ანალიზის გაკეთებამდე, რამდენიმე სიტყვით შევეხებით თავად ისტორიული ბასიანის რეგიონის ლოკალიზაციისა და საზღვრების საკითხს, რომლის შესახებაც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ხოლო ოლთის, ნარიმანისა და იდის სამჴრით არს, ირიჯლუს მთას იქით, ბასიანი. და ესე ბასიანი თუმცა არს სომხითისა, არამედ, შემდგომად ბაგრატიონთა მეფობისა, რა დაიპყრეს მათ, არს მიერით სამცხისა. და არს ბასიანი რახსისა ანუ არაზის სათავესა ზედა. პირველად ეწოდა ქალაქსა ამისსა ბასიანი, და მის გამო ეწოდა სახელიცა ესე ამ ადგილთა. ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ასანყალას. და არს საშუავალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა ჩრდილო კერძ არა დიდი ქალაქი და ზღვრის ამას მასიანს: აღმოსავლეთით მთა ჩამოსული სამჴრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა; დასავლით - მთა ირიჯლუ-დევაბოინისა; ჩრდილოთ, მთა ირიჯლუ-ყალნუსი; სამჴრით - მთა დევაბოინიდამ წამოსული სომხითის მთა. და ადგილთა ამათ შორის მოერთვიან რახსს იმიერით და ამიერით მდინარენი მთებთაგან, და შენებულ არიან დაბნები...“ (ვახუშტი, 1941:178-179) ის, რომ ქართულ საისოტორიო მწერლობაში ბასიანის საზღვრებისა და მისი ზუსტი მდებარეობის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოგვეპოვება არაერთგზისაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ზოგადი სახით მაინც შესაძლებელია რეგიონის მომსაზღვრელი კონტურების წარმოდგენა. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც არსებულ, მწირ ცნობებს ეყრდნობა, ბასიანისრეგიონის ტაოს მოსაზღვრედ, სამხრეთ-დასავლეთით განსაზღვრავს. ამასთანავე მისგანსამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა თორთუმი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი სპერს აღწევდა (ჯავახიშვილი, 1983:67-68). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით მეფემ „ლაშქრითა განვლო... ბასიანნი სპერამდინ...“ (ქართლის ცხოვრება, 1906:310-311).

წყაროთა შეჯერებით პროვინცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე არაქსის სათავეებთან მდებარეობდა და ისტორიული მესხეთის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო მისი სახელწოდება „ფასიანების“ კოლხურ ტომთანაა დაკავშირებული. ძვ.წ. II საუკუნეში სომხეთის სამეფოს წარმოქმნა-გაფართოების შედეგად ბასიანი მის ფარგლებში ექცევა, ხოლო მოგვიანებით იგი შეადგენდა არარატის სამეფოს ერთ-ერთპროვინციას. ახლო აღმოსავლეთში რომსა და ირანს შორის პოლიტიკური გავლენების გადანაწილების შედეგად 384 წლისთვის რეგიონი ამ უკანასკნელის ფარგლებში ექცევა, ხოლო უკვე VII-VIII საუკუნეებში ის არაბთა სახალიფოს ნაწილს წარმოადგენდა. ქართველთა სამეფო-სამთავროების მოძლიერების პირობებში ბასიანი ბიზანტიის იმპერიასა და „ქართველა სამეფოს“ შორის სადაო ტერიტორიად იქცევა ვიდრე ის მთლიანად ამ უკანასკნელის შემადგენლობაში არ გადადის. საყურადღებოა, რომ უკვე X საუკუნის I ნახევარში „ქართველთა სამეფოსა“ და ბიზანტიას შორის საზღვარი სწორედ მდინარე არაქსზე გაევლო, სადაც ბასიანის ჩრდილოეთი ნაწილი ბაგრატიონთა საიურიზდიქციოში განმწესდა. დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო ბიზანტიის იმპერიასთან კონფლიქტის შედეგად, 1001 წელს, იმიერ-ტაო და ბასიანი სრულად გადადის ბიზანტიის განმგებლობაში - მიუხედავად ამისა, არ შეწყვეტილა ქართველთა მხრიდან ტერიტორიის დაბრუნების მცდელობები ჯერ ბიზანტიელთაგან, ხოლო შემდგომ თურქ-სელჩუკებისგან. XII საუკუნიდან რეგიონი კვლავ ფეოდალური საქართველოს ფარგლებშია - 1203 წელს სწორედ ბასიანში სძლია ქართველთა ლაშქარმა თურქ-სელჩუკებს. 1545 წელს ტერიტორია ოსმალებმა მიიტაცეს და უკვე XVII საუკუნიდან ის ერზრუმის ვილაიეთის ერთ-ერთ სანჯაყადაა ქცეული.

კვლევის მეთოდები. წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს სახელოვნებათმცოდნეო - მხატვრულ-სტილისტურ და შედარებით ანალიზს. მოცემული მეთოდი გახლავთ ის უმთავრესი მიდგომა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ნაგებობათა წამოდგენილი ჯგუფის შესახებ მაქსიმალურად ტევადი და მრავლისმომცველი ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული მიდგომა მით უფრო მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ თურქეთის, ისტორიული ბასიანის ძეგლების შესწავლის პროცესში, რადგან ჩვენ იშვიათად თუ მოგვეპოვება ისტორიული წყაროები, სხვა ტიპის საბუთები და არქეოლოგიური გათხრების შედეგები ან ანგარიშები. გარდა ამისა, კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს საისტორიო დისციპლინისთვის მისაღები სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენების ცდას, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნება, ერთი მხრივ, ბასიანის რეგიონის ძეგლების ჩასახვა-განვითარების ისტორიული კონტექსტის წარმოჩენა, მეორე მხრივ კი, ნაგებობათა ამ ჯგუფის ფუნქციური რაობის დადგენა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ყველა შესაძლო მეთოდოლოგიური მიდგომა ეფუძნება საველე სამუშაოებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ტიპის მეთოდური კვლევის ჩატარება - ამდენად, კვლევის მეთოდებისა თუ კვლევითი მიდგომის ფარგლებში უთუოდ ნაგულისხმევია მასშტაბური და ინტენსიური სავალე სამუშაოები.

კვლევის მიზანი. ჩვენ მიერ დასახული საკვლევი თემისა და წერილისთვის წამძღვარებული მცირე ისტორიული ექსკურსის ურთიერმიმართება ნათლად აჩვენებს ვრცელ დროით ინტერვალს, რომელიც ბასიანის რეგიონში არსებული მეგალითური კულტურის მშენებლობასა და ამავე „ქვეყნის“ ისტორიულ მეხსიერებას შორის არსებობს. კვლევის მიზანია „ციკლოპური“ სამშენებლო ტექნიკით ნაგები არქიტექტურული კომპლექსებისა თუ დამოუკიდებელი სამოსახლო-სათავდაცვო ხუროთმოძღვრების შესწავლა მაშინ, როდესაც

ჩვენ ხელთ არსებული საისტორიო წყაროები რეგიონის, მისი საზღვრების, მდებარეობის, განსახლების ისტორიის და „ეთნიკური კუთვნილების“ შესახებ საგრძნობლად მწირია. არსებული, მეტ-ნაკლებად მწყობრი „ცოდნა“ რეგიონისა და მისი ისტორიული პერიპეტიების შესახებ წელთაღრიცხვათა მიჯნიდანღა თუა საძიებელი - ისიც ძლიერ ფრაგმენტული, ნაკლებად სანდო, მსხვაობარი და უთუოდ არათანმიმდევრული. ამდაგვარი წინაპირობის ფონზე საყურადღებო და არსებითან მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, რომ მეგალითური აღმშენებლობის „ციკლი“ დასახელებულ ტერიტორიაზე გაცილებით ადრეულ ამბებზე „მოგვითხრობს“, ვიდრე ეს, უკვე ხსენებული, წელთაღრიცხვათა მიჯნაა. ამრიგად, ჩვენს წინაშე იკვეთება კიდევ უფრო რთული ამოცანა - გამოვარკვიოთ არა მხოლოდ აღნიშნული „სამშენებლო ტენდენციის“ დროითი დიაპაზონი, არამედ მათი არქიტექტურული-კონსტრუქციული, სტრუქტურული, მხატვრულ-სტილისტური და შედარებითი ანალიზის საშუალებით საცნაური გავხადოთ ის „საზოგადოებრივი გაერთიანება“, ჯგუფი თუ ეთნოსი, რომლის წიაღშიც უნდა სტრუქტურირებულიყო ამგვარი არქიტექტურული სახე საცხოვრისის, სათავდაცვო სისტემისა თუ საკულტო მშენებლობისა.

სადღეისოდ არსებული სამეცნიერო ცოდნის გათვალისწინებით, ჩვენთვის უცნობია ისტორიული „ტაო-კლარჯეთის“ სახელდებით გაერთიანებული „ქვეყნების“, მით უფრო ბასიანის რეგიონის მეგალითური აღმშენებლობის მწყობრი, სამეცნიერო შესწავლის შედეგად მიღებული, ისტორია. წინაქრისტიანული ხანის სამშენებლო მემკვიდრეობით ესოდენ მდიდარი „ტაო-კლარჯეთის“ და მისი „გარეშემონი ქუეყანანი“-ს საგანგებო სამეცნიერო შესწავლა არ განხორციელებულია. ამრიგად, ისტორიულ წყაროთა სიმწირე ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, ამ ტიპის სამშენებლო მემკვიდრეობის შეუსწავლელობა წიანმდებარე რეგიონში, ართულებს ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ზუსტი კლასიფიკაცია-დათარირების შესაძლებლობას.

მეგალითური კულტურის შესწავლის ისტორია საქართველოში და საზოგადოდ კავკასიის რეგიონში XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იღებს დასაბამს გრძელდება მთელი XX საუკუნის მანძილზე, თუმცა მრავალდისციპლინური, ინტერნაციონალური კონტექსტითა და არქეოლოგიური კვლევებით შემაგრებული გამოცემები ქართულ სამეცნიერო სივრცეში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით შესამჩნევია. (ნარიმანიშვილი, 2019; ნარიმანიშვილი, 2009; ბერძენიშვილი, 2002; მელიქსეთ-ბეგი, 1938;)

დასახელებული სამეცნიერო ლიტერატურის ძირითადი ნაწილი ორიენტირებულია საქართველოს რამდენიმე რეგიონში გავრცელებული მეგალითური კულტურის შესწავლაზე და, ცხადია, არ მოიცავს ისტორიული „ტაო-კლარჯეთის ქვეყნების“ ტერიტორიაზე მიკვლეულ ნაგებობათა მრავალფეროვან მემკვიდრეობას - მით უფრო ბასიანის რეგიონის სამშენებლო ნიმუშებს.

ანალიზი და შედეგები. ისტორიული ბასიანის ტერიტორიაზე ჩატარებული ექსპედიციის ფარგლებში დაფიქსირდა თხუთმეტამდე ციკლოპური ნაგებობის კვალი, საიდანაც მხოლოდ ათი მათგანის შესახებ შეიძლება მსჯელობა - ნაწილი იმდენადაა დაზიანებულ-გამქრალი, რომ გეგმის დონეზეც აღარ აღიქმება. აღნიშნული „მშენებლობის“ კლასიფიკაციის, ფუნქციური რაობისა და აგების თარიღის განსაზღვრისთვის არსებითია წარმოჩინდეს მეგალითური კულტურის შემორჩენილი ძეგლების გეგმარებითი თავისებურებანი, მათი სამშენებლო მასალა, ტექნიკა და ნაგებობათა განთავსების გეოგრაფიული გარემო.

მნიშვნელოვანია, რომ ზოგად-გეგმარებითი მახასიათებლებით შემორჩენილი ნაგებობები ერთმანეთისგან დიდად არ სხვაობს, თუმცა, ერთი შეხედვით, თავჩენილი ის მცირედი სახესხვაობანიც კი, რაც ჯგუფებს შორის ვლინდება არსებითი შეიძლება გამოდგეს, როგორც ძეგლთა ფუნქციური დატვირთვის, ისე მათი დათარიღების თვალსაზრისით. ამრიგად, ზოგადი სახით, მეტ-ნაკლები წრიულობისა თუ ოვალურობისკენ მიდრეკილი გეგმარების მქონე ნაგებობათა წრეში უნდა მოვიხსენიოთ ორენტაშის ფერდზე არსებული (სავარაუდოდ იარუსებად განფენილი) სტრუქტურების კვალი, კავუშტურანი და კურბანჩაირი, ხოლო მკვეთრად გამოხატული მართკუთხა მოხაზულობის გეგმარებით ხასიათდება ბუიუკდერეს ქვედა ნაგებობა, კარაკალე, პელიტლი და სრულად მართკუთხა საფუძვლის მქონე ბუიუკდერეს ზედა შენობა. მოცემულ „ფორმებს“ შორის ექცევა ნაგებობათა დარჩენილი ნაწილი და ისინი, „გეგმარებითი დისპროპორციულობის“ მიუხედავად, მეტად არიან მიმართულნი მართკუთხა მოხაზულობისკენ - ასეთებია: ტაშლიგუნეი, დემირდოვენი, კუჩუკტუი.

სამშენებლო მასალის თვალსაზრისით, თვით ნაგებობათა ციკლოპური სტრუქტურის გათვალისწინებით ცხადია, რომ აღნიშნული მიმართულებით დიდი მრავალფეროვნება სრულებითაც არაა მოსალოდნელი. ყველა შემთხვევაში საქმე გვაქვს ვულკანური წარმოშობის, მოზრდილი ზომისა და არასტანდარტული ფომის ქვის „ნატეხებთან“, რომელთა დიდი ნაწილი დაუმუშავებელი, ხოლო ზოგიერთი ძეგლის შემთხვევაში ნაწილობრივ დამუშავებული, მცირედ „ფორმამიცემული“ სახით წარმოგვიდგება. გარდა ლოდოვანი სამშენებლო ტექნიკა-მასალისა, ჩვენ მიერ ხსენებული ძეგლების ტერიტორიაზე ფიქსირდება დუღაბის საფუძველზე ნაგები ფრაგმენტებიც, რომლებიც ცხადია შუა საუკუნეების სათავდაცვო მშენებლობაზე მიუთითებს. საყურადღებოა, რომ ჩვენ მიერ მიკვლეულ-გამოვლენილ ძეგლებზე არ გვხვდება იმდაგვარად მასიური ლოდები, როგორიც სამხრეთ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე დაფიქსირებული ციკლოპური ნაგებობების შემთხვევაშია წარმოდგენილი - უმეტესწილად აქ საშუალო და შედარებით მცირე ზომის „ნაფლეთები“ გვხვდება, თუმცა მათი ზომები შთამბეჭდავია. იქ, სადაც ვულკანური წარმოშობის ლოდები დამუშავებული სახით გვხვდება, (ბუიუკდერეს ზედა ნაგებობა, კარაკალე) მათი ფორმები დაყვანილია მასიურ, წაგრძელებულ „ფილებამდე“ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში (ბუიუკდერეს ზედა შენობა) იკითხება ოდნავ „ფორმამიცემული“ ლოდების წყობა, სადაც გვხვდება ოვალური და მართკუთხა ფორმის ქვები. ყველა სხვა შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად მაინც, საქმე გვაქვს საშუალო და შედარებით მცირე ზომის, ვულკანური წარმოშობის ქვის სამშენებლო მასალასთან, ყოველგვარი შემაკავშირებელი „ხსნარის“ გარეშე. ექსპედიციის ფარგლებში მოხილული ციკლოპური მშენებლობის ნიმუშებში არსად დაფიქსირებულა ქვის გარდა რაიმე სხვა სამშენებლო მასალა ან მისი შესაძლო არსებობის კვალი.

მასალასთან ერთად საყურადღებოა სამშენებლო ტექნიკა, რაც ცხადია, იმთავითვე „განსაზღვრულია“, როდესაც საქმე გვაქვს მეგალითური, ციკლოპური აღმშენებლობის ნიმუშებთან. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ განხილული ძეგლების სამშენებლო მასალის სახით არ დაფიქსირებულა დუღაბი თუ რაიმე სხვა შემაკავშირებელი - ეს კი იმავდროულად გულისხმობს, რომ კედლები შედგენილია მშრალი წყობით ნაგები მასური ქვების ერთმანეთზე მორგებით. ყველა შემთხვევაში, გარდამავალი დაცულობის მიხედვით, განირჩევა კედლის შემდეგი სტრუქტურა: მასიური, საშუალო ან შედარებით მცირე ზომის ქვების გარე და შიდა პირების წყობა და მათ შორის, მდგრადობისა და შემკვრელის დატვირთვით „ჩაყრილი“ მცირე ზომის ქვა-ყორე. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ განხილული ძეგლების შემთხვევაში შენობათა

ძირითადი კედლები, „მთავარი“ სივრცის მომფარგვლელი „გალავნები“ საშუალოდ 2.5-3.0 მეტრია. ცხადია, რთულია მსჯელობა ნაგებობათა სიმაღლეზე, რადგან სხვადასხვა სტრუქტურის, გეგმარების, სამშენებლო მასალის, ქვის წყობისა თუ კედლის სისქის მიხედვით ის, იმთავითვე განსხვავებული იქნებოდა, თუმცა, ესეც რომ არა, მათი ამჟამინდელი დაცულობა არ გვაძლევს საშუალებას ხსენებულ „ნიშნულზე“ მსჯელობისთვის. ქვის, ლოდის წყობის თვალსაზრისით აღსანიშნავია ზოგიერთი დეტალი - მეტადრე ის, რომ რამდენიმე შემთხვევაში ჩვენ ვხვდებით მცირედი დამუშავების მქონე, მასიური „ფილების“ ირიბი წყობით ნაგებ კედლებს, სადაც რიგების მონაცვლეობით ქვების, პირშებრუნებული, დიაგონალური განლაგება ქმნის „თევზისფხისებრი“ ეფექტის კედლის ზედაპირებს. კონსტრუქციული თვალსაზრისით ასევე არსებითად უნდა ჩაითვალოს რამდენიმე ნაგებობაზე დაფიქსირებლი წრიული, ოვალური ან ნახევრწრიული „კონტრფორს-ბურჯები“. სამშენებლო ტექნიკის ეს ნაწილი სხვადასხვა ფორმით წარმოგვიდგება ამა თუ იმ ძეგლის შემთხვევაში - ზოგან ის გალავნის სტრუქტურაში, კედლის სისქის შუაშია მოქცეული და დაუყვება მთელს პერიმეტრს გარკვეული ინტერვალებთ, ზოგჯერ გალავნის შიდა კედელსაა „ჩაქსოვილი“, ხოლო რამდენიმე შემთხვევაში გალავანს გარე კედლიდან ეკვრის. ამასთანავე მოცემული ელემენტების გამოყენების კომბინირებლი ვარიაციებიც მოიხილვება და გვხვდება, როგორც გარე, ისე შიდა წყობას მორგებულ-მიბჯენილი „ბურჯები“, „კონტრფორსები“ თუ „გოდოლ-კოშკები“. უმეტეს შემთხვევაში მათი ფუნქცია გამაგრებითი ელემენტი - კონტრფორსი ან ბურჯია, თუმცა ვფიქრობთ, რომ კედლის შიდა წყობას „ჩანაქსოვი“ ეს წრიულ-ოვალური გეგმარების ელემენტები „საყოფაცხოვრებო“ დანიშნულების მატარებელიც შეიძლება ყოფილიყო. ამგვარი მოხაზულობის, ფორმისა და ზომის წრიული სეგმენტები, რომელთა შიდა სივრცეც „ცარიელია“ ანუ არ გახლავთ ქვა-ყორით ამოვსებული, შესაძლოა სხვა ფუნქციითაც ყოფილიყო გამოყენებული. შენობათა დაბალი დაცულობის გამო იშვიათად გვხვდება შესასვლელი ღიობები, ხოლო სრული სახით შემორჩენილი კარი, რომელიც „თავსართდახურული“ სახით იკითხება, მხოლოდ ერთგან - კარაკალეს ნაშთზეა მიკვლეული. მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ორი ტიპის შესასვლელის სტრუქტურაზე - ცენტრალური, რომელიც საკმაოდ დიდი ზომის უნდა ყოფილიყო და მცირე, რომელთა რიგსაც განეკუთვნება ხსენებული კარაკალეს კარი. ამ უკანასკნელის შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ საერთო ზომები საკმაოდ მოკრძალებულია, რაც თავისთავად იძლევა საშუალებას კარის მასიური ქვებით გადახურვისა. დაახლოებით 1.0 – 1.40 მერტის სიგრძე-სიმაღლისა და 2.0 მეტრის სიგანის კედელში დატანებული ეს ღიობი შიდა და გარე პირზე თითო მასიური არქიტრავის საშუალებითაა „დახურული“, ხოლო ამავე კედელში მოწყობილი „ცენტრალური შესასვლელი“ (შემორჩენილი ნაშთების მიხედვით) დაახლოებით 3 მეტრის სიგრძის უნდა ყოფილიყო, რაც ძლიერ ართულებს მისი ერთიანი არქიტრავით დახურვის შესაძლებლობას, ისევე, როგორც ქვის წყობით მის დასრულებას. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ მოცემულ და ანალოგიურ შემთხვევაში, დიდი თუ მცირე შესასვლელები განსხვავებული სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო. აღსანშნავია, რომ ნაგებობათა შესასვლელები, მიკვლეული მაგალითების მიხედვით, სავარაუდებელია სხვადასხვა მხარეს, თუმცა გვხვდება ისეთი ძეგლები, სადაც მხოლოდ ერთი კარი უნდა ყოფილიყო გაჭრილი.

სამშენებლო ტექნიკის, არქიტექტურული მოწყობა-გადაწყვეტის მხრივ საყურადღებოა ის ნაშთები, რომლებიც ნაგებობათა შიდა პერიმეტრზეა შემორჩენილი. ამ სტრუქტურების ძლიერი დაზიანების გამო, რაც მათი კონსტრუქციული მხარის არამდგრადობაზე მიგვანიშნებს, ვერ ხერხდება მათი ზოგადი სახის აღდგენაც კი, თუმცა სავარაუდებელია, რომ მცირე ზომის შენობებშიც „ინტერიერის“ დანაწევრება საკმაოდ აქტიური უნდა ყოფილიყო.

მოცემული ნანგრევების, მცირე კედელ-ნაშთების გათვალისწინებით, რომლებიც ნაგებობათა შიდა პერიმეტრზეა განფენილი, საფიქრებელია ერთგვარი ქსელურობით, „ქუჩებით“ შიდა სივრცეების დაყოფა-დანაწევრება. ძნელია ვივარაუდოთ „ინტერიერების“ არქიტექტურული სახე ან მათი ფუნქციური დატვირთვა, თუმცა არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სხვადასხვა ფუნქციის მქონე სტრუქტურებთან - ადამიანის საცხოვრებელი სივრცე, ცხოველთა სადგომი, სათავდაცვო მონაკვეთები და სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო ნაწილები.

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მოკლედ განისაზღვროს ხსენებული მშენებლობის გეოგრაფიული გარემო - ის, თუ რა რელიეფსა და გარემო-პირობებშია მოქცეულ-აგებული ეს ციკლოპური „მასივები“. ცხადია, უძველესი დროიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ციხე-სიმაგრის, ქალაქის, სოფლისა თუ სალოცავის აგების ადგილს, მის გეოგრაფიულ გარემოს, სადაც უპირტესობა ენიჭებოდა მიუვალ, ბუნებრივ გამაგრებით კლდე-მასივებს. გარდა თავდაცვისუნარიანობისა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ხეობები და ადგილები მდინარეთა, წყაროთა სიახლოვეს. ჩვენ მიერ განხილული სამშენებლო „ჯგუფის“ მორგების სტრატეგია გეოგრაფიულ გარემოსთან, ზედმიწევნით იმეორებს ზემოთ დასახელებულ მიდგომებს. ყველა ციკლოპური მშენებლობა ახლოსაა წყალთან და მდებარეობს სხვადასხვა დაცულობის მქონე მთის თხემზე. ხეობების გამორჩეულ პუნქტებზე აგებული ეს მძლავრი ნაგებობები ცხადია, მნიშვნელოვან მაკონტროლებელ-სათავდაცვო ქსელურ კომპლექსებზე მიგვანიშნებს, რომელთა საშუალებითაც ხდებოდა თემის, მხარის, რეგიონისა თუ „ქვეყნის“ დაცვა, მათი ქონების გადარჩენა, პირუტყვის შეფარება და ა.შ.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენ მიერ განხილული ნაგებობათა ჯგუფის შესახებ არსებული ინფორმაცია, როგორც ზოგად-კულტურული და საისტორიო, ისე უშუალოდ არქიტექტურულ-კონსტრუქციული, სრულებით არ გახლავთ საკმარისი მათი დათარიღებისთვის. გარდა ამისა, კულტურის ამდაგვარად ადრეული ფენების ანალიზი მხოლოდ არქიტერტურული თუ კონსტრუქციული ხაზით ვერასგზით მოგვცემს ამომწურავ ინფორმაციას თუ არ განხორციელდა არქეოლოგიური, თუნდაც დაზვერვითი, სამუშაოები. დასახელებული აღმშენებლობის „სადაურობის“, ხნოვანებისა და ფუნქციური რაობის შესახებ საფუძვლიანი მსჯელობის წარმართვისთვის არსებითად მიგვაჩნია ანალიზი იმ საისტორიო „ხაზისა“, რომელიც უძველესი „ქართული“ სახელმწიფოებრივი გაერთიანებების კვლევებისკენაა მიმართული - ცხადია, მხედველობაში უმთავრესად კოლხა (კოლხეთი) და დიაოხი (ტაოხი, ტაო), უფრო კი ეს უკანასკნელი გვაქვს.

სამხრეთ ამირკავკასიაში ქართველური ტომების გაძლიერება-გააქტიურებას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი ძვ. წ. XII-XI საუკუნეებში მომხდარმა გეო-პოლიტიკურმა ძვრებმა. ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე, მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საკმაოდ დიდი გაერთიანებების შესახებ წერილობითი ცნობები ჯერ კიდევ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან მოგვეპოვება. აღანიშნავია, რომ ადრეკლასობრივი განვითარების საფეხურზე მყოფი ეს გაერთიანებები, რომელთა შესახებაც ცნობები XII-VIII საუკუნეების ასურულ და ურარტულ ლურსმულ წარწერებშია დაცული, დიაოხი და კოლხა უნდა იყოს. საყურადღებოა, რომ ისტორიული საქართველოს ამ ნაწილში მცხოვრები მოსახლეობა სოციალური თუ ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ დაწინეურებულია, რასაც თან სდევს საკმაოდ დიდი, ძლიერი და მყარი გაერთიანებების ჩამოყალიბება ძვ. წ. II-I ათასწლეულების მიჯნაზე. ასურეთის ჩრდილოეთით მდებარე უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალას ძვ. წ. XII-XI საუკუნეებში და სავარაუდოა, რომ უფრო ადრეც, „ნაირის

ქვეყნები“ წარმოადგენდნენ, რომელთა შორისაც ასურული ლურსმული ტექსტების თანახმად, ყველაზე ძლიერი დაიაენი იყო, რომელსაც ურარტუელები დიაუხის სახელით მოიხსენიებდნენ. დიაოხი აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა უძველეს გაერთიანებად მიიჩნევა, რომლის სახელიც დღემდე შემორჩა ისტორიული საქართველოს ერთ-ერთ მხარეს - ტაოს. ამდენად, მეცნიერთა ვარაუდით, დიაოხის ლოკალიზაცია სწორედ მერმინდელი ტაოს მიდამოებშია გამართლებული, რასაც დიდწილად ემხრობა ურარტუს მეფის, მენუას წარწერა, რომელიც არზრუმის მიდამოებში, კლდეზეა ამოკვეთილი. „დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ბრძოლით ავიღე ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი, ქვეყანა გადავწვი, ციხე-სიმაგრენი დავანგრიე. მივედი შეშეთის ქვეყნამდე, ქალაქ ზუამდე...“ (მელიქიშვილი, 1970:255). ასეა მოთხრობილი მეფე მენუას ბრძოლის ისტორია დიაოხის და მისი „სამეფო ქალაქის“ წინააღმდეგ, ხოლო ასურეთის მეფე, სალმანასარ III, დაიაენს სწორედ ამ ტერიტორიასთან დაკავშირებით იხსენიებს, როდესაც ამბობს, რომ მიაღწია არზრუმის მახლობლად, მდინარე ევფრატის სათავეებს, სადაც მიიღო ხარკი დაიაენის ქვეყნის მეფის - ასიასგან. ის, რომ დაიაენ-დიაოხის ტერიტორია ევფრატის სათავეებიდან ჩრდილოეთით ვრცელდებოდა დასტურდება იმითაც, რომ ურარტული წყაროები მის მეზობლად ასახელებენ ისეთ „ქვეყნებს“, როგორებიცაა „ზაბახა“ (ჯავახეთი) და „შეშეთი“ (შავშეთი).

„ნაირის ქვეყნებს“ შორის, რომ დაიაენი ყველაზე ძლიერი იყო, დასტურდება ძვ. წ. XII საუკუნის ასურეთის ერთ-ერთი მეფის, ტიგლათფილესერ I-ის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში მისი გამორჩეული როლით - ის სათავეში ედგა ნაირის ქვეყნების გაერთიანებულ კოალიციას, რომელიც ოცდასამი მეფისგან შედგებოდა. ტიგლათფილესერ I-ის წარწერა ადასტურებს იმასაც, რომ დაიაენის მეფის, სენის გავლენა ვრცელდებოდა კიდევ უფრო ჩრდილოეთით, საიდანაც მისი მოწოდებით კიდევ სამოცი „მეფის“ გაერთიანებული ლაშქარი ჩაერთო ბრძოლაში. ტიგლათფილესერის კიდევ ერთ წარწერაში, მეფე საკუთარ თავს მოიხსენიებს, როგორც ნაირის ქვეყნების დამპყრობელს თუმედან დაიაენამდე და კილხის ქვეყნის დამპყრობელს ვიდრე დიდ ზღვამდე. ეს უკანასკნელი მეცნიერთა ვარაუდით კოლხა, ხოლო „დიდი ზღვა“, იგივე „ზემო ზღვა“ - შავი ზღვაა. აღნიშნული მოცემულობით ნათლად დასტურდება, რომ კოლხური გაერთიანება მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენდა მის სამხრეთ რეგიონში მდებარე დიაოხთან, რომელსაც წამყვანი როლი ეკავა „ნაირის ქვეყნების“ გაერთიანებისთვის.

ტიგლათფილესერ I-ის მეფობიდან მალევე ასურეთი სუსტდება, რადგან რამდენიმე საუკუნის მანძილზე უწევს აქტრიური თავდაცვითი ომების წარმოება არემეულ ტომებთან. ამდენად ცხადია, რომ დაპყრობითი „გასვლები“ ჩრდილოეთით დიაოხისა და კოლხას წინააღმდეგ მათ ძალებს აღემატებოდა - სწორედ ამიტომ ძვ. წ. XI საუკუნიდან IX-VIII საუკუნეებამდე ლურსმული წერილობითი ძეგლები არავითარ ინფორმაციას არ გვაწვდის. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს გახლავთ მეტ-ნაკლებად მშვიდი, დაიაენისა და კოლხეთის განმტკიცება-გაძლიერების ხანა, ხოლო ძვ. წ. IX საუკუნიდან, როდესაც ასურეთი აახლებს დაპყრობით ომებს დაიაენის წინააღმდეგ, ცნობები კვლავ თავს იჩენს, როგორც ასურულ, ისე ურარტულ წერილობით „ძეგლებში“ (მელიქიშვილი, 1970).

ურარტუს სახელმწიფოს ასპარეზზე გამოჩენით, დიაოხი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნადა, რამდენადაც სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენდა მისთვის სამხრეთ ამიერკავკასიის ყველაზე ძლევამოსილ მოწინააღმდეგეს. ურარტუსა და ასურეთს შორის არჩევანის წინაშე მდგომი დაიაენ-დიაოხის მეფე ასია, ძვ. წ. 845 წელს, არჩევანს ასურეთის სასარგებლოდ აკეთებს, რაც რეალურად უპერსპექტივო აღმოჩნდა, რადგან მალევე ურარტუს ძლიერება იმდენად შესამჩნევი ხდება, რომ თვით ასურეთის შევიწროვებასაც ახერხებს.

სამხრეთ კავკასიაში ურარტუს მიერ შევიწროვებული ტომებისთვის მთავარ საყრდენად მაინც დიაოხი რჩებოდა, რომელთან გაერთიანებითაც ცდილობდნენ თავდაცვითი ბრძოლების წარმოებას, ამიტომაც ბუნებრივია, რომ დიაოხი კიდევ უფრო მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა.

ურარტუს მეფის, მენუას კლდეზე ამოკვეთილ ვრცელ წარწერაში საუბარია დიაოხის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაზე ძვ. წ. IX საუკუნის მიწურულსა და VIII საუკუნის დამდეგს, სადაც ვკითხულობთ: „ღვთაება ხალდი გამოვიდა თავისი იარაღით დიაუხის, ძლევამოსილი ქვეყნის წინააღმდეგ... მე დავიპყარი დიაუხის ქვეყანა, ბრძოლით დავიპყარი ქალაქი შაშილუ, სამეფო ქალაქი, ქვეყანა გადავბუგე, ციხე-სიმაგრე დავანგრიე... უთუფურსი, დიაუხის მეფე, ჩემს წინაშე გამოცხადდა... მან მე მომცა ოქრო და ვერცხლი, მომცა აგრეთვე ხარკი...“ (მელიქიშვილი, 1970:255). ის, რომ მენუას წარწერაში მტრის ქვეყანა „ძლევამოსილად“ არის მოხსენიებული, ერთადერთი შემთხვევაა და ის მხოლოდ დიაოხის გამორჩეულ ძლიერებაზე მეტყველებს. აქვე აღსანიშნავია, რომ ერზრუმის რეგიონში არსებულ ზოგიერთ წარწერაში საუბარი შეეხება „დიდებულ ციხე-სიმაგრეთა მშენებლობას“, როგორც ერთგვარ მაკონტროლებელ პუნქცებს დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიისა. ურარტუელთა ბრძოლა დიაოხის წინააღმდეგ მენუას მემკვიდრის, არგიშთი I-ის (ძვ. წ. 786-764 წწ.) დროსაც გაგრძელდა, რომლის ერთ-ერთი წარწერითაც ირკვევა, რომ ამ დროსაც დიაოხი ძლიერაა დაწინაურებული, სადაც განვითარებულია მესაქონლეობა და მეტალურგია.

დიაოხის ბრძოლები ურარტუს წინააღმდეგ მომდევნო წლებშიც გაგრძელდა, თუმცა მალევე, მეცნიერთა ვარაუდითდიაოხის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას კოლხა ანაცვლებს და უკვე სარდურ II-ის მეფობიდან ურარტუს მოსაზღვრედ კოლხას სახელმწიფო ჩნდება. ურარტუს მძიმე ხარკით დამძიმებული და ტერიტორიებდაკარგული დიაოხისთვის საბოლოო გამანადგურებლად, მისი ჩრდილოელი მეზობელი, კოლხეთი გვევლინება. ამის შემდგომ კოლხეთი და ურარტუ წარმოადგენდნენ ურთიერთისათვის მტრულად განწყობილ „მეზობელ“ სახელმწიფოებს, რომელთა შორის უმძიმესი ბრძოლებიც გარდუვალი გახდა.

დასკვნა. ზემოთ მოყვანილი მცირე ისტორიული ექსკურსი რამდენიმე კუთხითაა ჩვენთვის საყურადღებო. აშკარაა, რომ ისტორიული სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე უძველეს სახელმწიფოებრივ გაერთიანებს დაიაენ-დიაოხი წარმოადგენდა, რომლის ლოკალიზებაც, მეცნიერთა ვარაუდით, სწორედ ევფრატის სათავეების სიახლოვეს, მერმინდელი ტაოს რეგიონშია სავარაუდებელი. თუკი იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ უშუალოდ „ბასიანის ქვეყანა“ ტაოს ოლქის მოსაზღვრედ მდებარეობდა, ცხადი გახდება, რომ უძველეს ხანაში (ძვ. წ. XII-VIII სს.), აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებული დიაოხის სახელმწიფოებრივი გაერთიანება „უშუალო“ წინამორბედად გვევლინება ამ ვრცელი რეგიონის მერმინდელი „სამოსახლოებისთვის“.

ჩვენ მიერ განხილული და კლასიფიცირებული ნაგებობათა ჯგუფი, სამშენებლო ტექნიკის, საერთიო გეგმარების, სამშენებლო მასალის, განთავსების გეოგრაფიული გარემოს მიხედვით, ახლოს დგას სწორედ დროის ამ ვრცელი მონაკვეთისათვის (ძვ. წ. XII-VIII სს.) სახასიათო აღმშენებლობასთან. ამ შემთხვევაში, მეტ-ნაკლებად მაინც ცხადი ხდება ბასიანის მეგალითური კულტურის, ციკლოპური მშენებლობის ნიმუშების ფუნქციური დანიშნულების საკითხი. ასურეთის, ხოლო შემდგომ ურარტუს მეფეთა მიერ მოხსენიებული ის მრავალრიცხოვანი, ძლიერი, გამაგრებული, ეკონომიკურად და სოციალურად დაწინაურებული „ხალხები“, სწორედ დიაოხის გაერთიანებაში შედიოდნენ. ერზრუმისავე რეგიონში შემორჩენილი ვრცელი, ურარტულ-ასურული კლდეზე ნაკვეთი, წარწერები ნათლად აჩვენებს დიაოხის სათავდაცვო და სამოსახლო „არქიტექტურის“ განვითარების

მაღალ დონეს. საყურადღებოა, რომ იმდაგვარი ტიპის ციკლოპური მშენებლობის ნიმუშები, რომლებიც ჩვენ მიერ იქნა ლოკალიზებული ბასიანის „ქვეყანაში“, მიუთითებს საკმაოდ დაწინაურებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფეხურზე მყოფი სახელმწიფოებრივი გაერთიანების არსებობაზე, რაც ისტორიული წყაროების ანალიზითა თუ მათი შეჯერებით, დიდი ალბათობით, ასურულ-ურარტული წყაროების დაიაენ-დიაოხი შეიძლება ყოფილიყო.

ჩვენ მიერ მიკვლეული ციკლოპური არქიტექტურის ნიმუშებიდან ნაწილი, ცალსახად მხოლოდღა სათავდაცვო ფუნქციაზე მიუთითებს - ესაა შედარებით მცირე ზომის, ცენტრალური ხევების მაკონტროლებელ პუნქტებში აგებული ნაგებობები, რომელთა გამაგრების ძირითადი აქცენტი გარე მასებზეა გადატანილი, ხოლო მათი „ინტერიერები“ არ გამოირჩევა მკვეთრი დანაწევრებით. ამასთანავე, ჩვენი ხედვით და კვლევის ამ ადრეულ ეტაპზე, ნაგებობათა ერთი ნაწილი არა მხოლოდ სათავდაცვო, არამედ სამოსახლო-თავშესაფრია - ეს გახლავთ შედარებით დიდ ფართობზე გაშლილი მშენებლობა. ამ შემთხვევაში შიდა პერიმეტრი მეტი დანაწევრებით ხასიათდება, სადაც ჩნდება „ქუჩების“ სტრუქტურირებული ქსელი და გალავნის კედლებს შიგნიდან მიდგმული სათავსები. ასეთი ტიპის ნაგებობა მტრის შემოსევის დროს ყველაზე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა მოსახლეობისთვის, როგორც თავდაცვის, ისე „ქონების“ (საქონელი, ძვირფასი მეტალი და ა.შ.) გადასარჩენად. არ უნდა გამოვრიცხოთ ისიც, რომ ამ მოზრდილი ნაგებობების სახით საქმე გვქონდეს „ქალაქებთან“, რომლებიც მუდმივად იყო განსახლებული.

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ბასიანის ციკლოპური მშენებლობის ჩამოყალიბების დროითი ინტერვალი ძვ. წ. XIII-VIII საუკუნეებს შორის ექცევა, რასაც თვით შენობათა არიტექტურულ-კონსტრუქციული მხარეც ერთმნიშვნელოვნად ამყარებს. ამასთანავე ისიც ცხადია, რომ გეგმარებითი, სტრუქტურული, კონსტრუქციული და თუნდაც მხატვრული თვალსაზრისით აგრერიგად გამართული „არქიტექტურული სახის მქონე“ მშენებლობა უნიადაგოდ ვერასგზით აღმოცენდებოდა და, რომ მისი ფესვები, შედარებით „მარტივი კომპოზიციების“ მქონე სტრუქტურების სახით, კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაშია საგულვებელი.

კვლევის ამ ეტაპზე, ჩვენ ხელთ არსებული მასალის გათვალისწინებით, ბასიანში მიკვლეული მეგალითური კულტურის კვალის შესახებ შესაძლებელი იყო მხოლოდღა ვარაუდების გამოთქმა, როგორც აღმშენებლობის დროითი ინტერვალის, ისე მათი ზოგადი ფინქციისა და სადაურობის შესახებ. ცხადია, საკითხი მრავალმხრივ დამატებით კვლევას საჭიროებს, რამდენადაც საქმე გვაქვს „საქართველოს“ უძველესი ისტორიის ნათელყოფის მატერიალურ, ფორმადქმნილ ნიმუშებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

ბატონიშვილი ვახუშტი. (2008). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება,* რ. მეტრეველის საერთო რედაქციით. თბილისი: „მერიდიანი“, „არტანუჯი“.

ჯავახიშვილი, ივ. (2012). *ქართველი ერის ისტორია.* ტ. II. შემდგენელი ჯ. სამუშია. მ. ალუდაურის საერთო რედაქციით. თბილისი: „პალიტრა L“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1970). ტ. I. გ. მელიქიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

ნარიმანიშვილი, დ. (2019). *საქართველოს ციკლოპური სიმაგრეები.* თბილისი: „დი ენდ ჯი“.

ნარიმანიშვილი, გ. (2009). *სიახლენი თრიალეთის კულტურაში.* თბილისი: „მწიგნობარი“.

ბერძენიშვილი, დ. (2002). *„ჯავახეთის ძველი სიმაგრეები“.* შრომების კრებული: ჯავახეთი I. ახალციხე.

მელიქსეთ-ბეგი, ლ. (1938). *მეგალითური კულტურა საქართველოში.* თბილისი: ფედერაცია-თბილისი.

ჩხარტიშვილი, მ. (2013/2014). დაიაენ/დიაოხი: ეთნიკური სტიგმა. *ქართული წყაროთმცოდნეობა.* XV-XVI. თბილისი: „უნივერსალი“.

REFERENCES

bat'onishvili vakhusht'i. (2008). ghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia]. kartlis tskhovreba [Georgian chronicles]. Edited by R. Metreveli. Tbilisi: „Meridiani“, „Artanuji“.

javakhishvili, iv. (2012). *Qartveli eris istoria,* [The history of the Georgian nation]. Compiler work by J. Samushia. General editorship of M. Aludauri. Tbilisi: „Palitra L“

saqartvelos istoriis narkvevebi [Essays on the history of Georgia]. (1970). v. I. Edited by G. Melikishvili. Tbilisi: „sabchota saqartvelo“.

chkhartishvili, m. (2013/2014). daiaen/diaokhi: etnikuri stigma [Dayaen/Diaoch: Ethnic Stigma]. *Georgian source knowledge*. XV-XVI. Tbilisi: „Unoversali“.

narimanishvili, d. (2019). *Saqatyvelos ciklopuri simagreebi* [Cyclopean Fortresses in Georgia]. Tbilisi: „D and G“.

narimanishvili, g. (2009). *Siakhleni trialetis kulturashi* [News in Trialeti culture]. Tbilisi: „mtsignobari“.

berdzenishvili, d. *„javakhetis dzveli simagreebi“* ["Old fortresses of Javakheti"]. Collection of works: Javakheti I. Akhaltsikhe.

meliksed-begi, l. *megalituri kultura saqartveloshi* [Megalithic culture in Georgia]. Tbilisi: Federation-Tbilisi.

ისტორიული „ბასიანის“ რეგიონი - მეგალითური ძეგლები

ისტორიული ბასიანის სოფელი სურბოღანი, თანამედროვე იორენტაში, ქოფრუქოის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Örentaş, Köprüköy İlçesi, Erzurum İli),
კედლის სტრუქტურის ფრაგმენტები

ისტორიული ბასიანის სოფელი ახა, თანამედროვე კავუშტურანი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kavuşturan, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
ნაგებობის საერთო ხედი

ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
კედლის სტრუქტურის ფრაგმენტები

ისტორიული ბასიანის სოფელი მიგნარინჩი, თანამედროვე ბუიუკდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
ქვედა ციხის საერთო ხედი

ისტორიული ბასიანის სოფელი ზემო კარაკალე, თანამედროვე კარაკალე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Karakale, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
გალავნის კედლის ფრაგმენტები ინტერიერიდან

ისტორიული ბასიანის სოფელი მალი კომუ, თანამედროვე პელიტლი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Pelitli, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
წინაქრისტიანული ხანისა და შუა საუკუნეების კედლის ფრაგმენტები

ისტორიული ბასიანის სოფელი მიგნარინჩი, თანამედროვე ბუიუკდერე, ფასინლერის რაიონი,ერზურუმის პროვინცია (Büyükdere, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
ზედა ციხის საერთო ხედი

ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
ნაგებობის საერთო ხედი

ისტორიული ბასიანის სოფელი სანსორი, თანამედროვე ტაშლიგუნეი, ფასინლერის რაიონი,ერზურუმის პროვინცია (Taşligüney, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
ნაგებობის საერთო ხედი

ისტორიული ბასიანის სოფელი პატარა ტუ, თანამედროვე ქუჩუქტუი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Küçüktuy, Pasinler İlçesi, Erzurum İli),
ნაგებობის საერთი ხედი